# ჩვენი გზა

№ 19

თფილისი

1907

ხუთშაბათი, 27 სექტემბერი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

გაზეთ „ჩვენი გზა“-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორაში ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე. დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა უქმეობით—დილის 11-დან 12 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, контора редакціи „Чвени Гза“, Великокняжеская № 35.

№ 19 ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 19



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**ჩვენი გზა**

**გამოდის თფილისში 1907 წლის 2 სექტემბრიდან.**

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით ქალაქ გარეთ 90 კაპეიკი.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ერთი თვით ინახება მხოლოდ ვრცელი წერილები. წერილობითი ცნობებისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. კვირა-უქმეობით დილის 11 დან 12 საათამდე.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტ. პეტიტით 15 კ., მეოთხეზე 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, контора редакціи „Чвени Гза“, Великокняжеская № 35.

გაზეთ **„ჩვენი გზა“-ს** რედაქციის კანტორა დაბეჯითებითა სცხდბეს, როგორც აგენტების, ისე სხვათა საყურადღებოთ, რომ ფული უსათუოდ შემდეგ ადრესზე უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, типографія „Сорапань“ **НЕСТОРУ КИШВАРДІЕВИЧУ ЦИНЦАДЗЕ.**

**ექიმი**

**ივ. გომართელი**

პირველი ოქტომბრიდან მიიღებს ავათმყოფებს ქ. თფილისში.

გოლოვინის პროსპექტი, თამამშევის სახლი № 33.

მედიცინის დოქტორი

**ს. ა. ლიური**

საიმპერატორო სამხედრო-საექიმო აკადემიის კლინიკის ყოფილი ორდინატორი **ყურის, ყელის** და **ცხვირისა** იღებს ყოველდღე ავათმყოფებს დღის 1—2 ს. და საღამოს 5—7 ს.

პეტერბურგის ქ, № 10. ტელეფ. № 595.

**ნაფიცი ვექილის თანაშემწე**

ივანე იოსების ძე **კაჩუხოვი**

გადავიდა ვერის დაღმართზე (Верійскій спускъ) სახლი № 11. 10—6

**ნაფიცი ვექილის**

**თანაშემწე**

ნიკოლოზ ზურაბის-ძე **ელიავა**

**გადავიდა ოლგინის ქუჩაზე № 34.**

(10—3)

გაზ. **„დრო“-ს** რედაქციის დახურვის შემდეგ ხელში ჩამივარდა **ლ. ლასმანის** თარგმანი: **„პირველი სოციალდემოკრატიული ჯგუფი რუსეთში“**. ვთხოვ მთარგმნელს მოიკითხოს „ჩვენი გზის“ რედაქციაში. ველიკოკნიაჟ. ქ. № 35.

**გამოცდილი მასწავლებელი** ამზადებს მოსწავლე ქალ-ვაჟთ უმაღლა საშუალო და დაბალი სასწავლებლისათვის. ამზადებს აგრეთვე სახალხო სკოლის მასწავლებლის ხარისხის მისაღებათ.

ადრესი: გოლოვინის პროსპექტი, სახლი № 28 ბინა № 3, ეზოში.


## სადღეისო

დღეისათვის თფილისში დანიშნულია „ვიბორშჩიკების“ არჩევნები. ყოველი მოქალაქე, ვისაც კი საარჩევნო უფლება შერჩენია, მოვალეა მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში და მით შეასრულოს თავისი **მოქალაქობრივი** მოვალეობა. თითოეული ხმის დაკარგვა დანაშაულის ჩადენა იქნება ამ მოვალეობის წინაშე. არჩევნებისადმი გულ-გრილობა დაამტკიცებს მხოლოდ ამომრჩეველთა პოლიტიკურ შეუგნებლობას და მათ დაუდევრობას მათივე ინტერესების შესახებ, ყველასათვის ცხადია, ბიუროკრატიის მისწრაფება რაც შეიძლება არჩევნებს მეტი ჩამოაშოროს: ეს დაამტკიცა მან ხალხისათვის ისედაც ფრიად ვიწრო საარჩევნო უფლების ერთიანათ დამუხრუჭებით; ამასვე ამტკიცებს იგი თავისის სიხარულით იმის გამო, რომ დღეს ხალხი თითქმის ყველგან უგულოთ ეკიდება არჩევნებს. მას საბუთიც აქვს უხაროდეს: ხალხი თავისი ნებით არჩევნებიდან ჩამოშორებით მხოლოდ მის მისწრაფებას გაუწევს სამსახურს. კარგათ უნდა გვახსოვდეს, რომ საარჩევნო უფლების ის წანაგლეჯიც კი, რომელიც ასე თუ ისე ჯერ კიდევ შერჩა ხალხს, შეიძლება კვლავ გამოყენებულ იქნას. კარგათ უნდა გვახსოვდეს, რომ არ მოიძებნება არც ერთი ისეთი უფლება, რაც უნდა უმნიშვნელო იყოს იგი, რომლის შემწეობითაც არ შეიძლებოდეს მოწინააღმდეგისათვის რაიმე ზიანის მიცემა. ამას ნათლათ გვიმტკიცებს ის გარემოებაც, რომ საცა კი დღეს ხალხმა არჩევნებში მონაწილეობა მიიღო, ყველგან მან კვლავ მოახერხა აერჩია სასურველი კაცები და მით შავრაზმელთა ბანაკში შეშფოთება და მრავალ იმედების გაცრუება შეიტანა.

ყველაფერი ეს კარგათ უნდა ახსოვდეთ დღეს თფილისელ ამომრჩევლებს, როდესაც ისინი შეეკითხებიან თავის თავს —წავიდეთ თუ არა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებათ და ან ვის, რომელ კანდიდატებს მისცენ თავიანთი ხმები. თფილისის ამომრჩევლებს ყოველთვის მეტი შეგნება და გამჭრიახობა გამოუჩენიათ არჩევნების საქმეში, ვინემ ბევრი სხვა კუთხის ამომრჩევლებს. მით უფრო მართებთ თფილისის ამომრჩევლებს მეტი გამჭრიახობით და გულმოდგინებით მოეკიდონ დღევანდელ არჩევნებს. ხოლო ვის, რომელ კანდიდატებს უნდა მისცენ მათ ხმა, ეს კითხვა ძნელი გადასაჭრელი არ არის მათთვის; ამ კითხვაზე წინანდელ არჩევნების მაგალითი, რომელმაც სავსებით გაამართლა თფილისელ ამომრჩეველთა იმედები, თავის თავათ იძლევა შემდეგ პასუხს: თფილისის ამომრჩევლებმა კვლავ იმ პარტიის წარმომადგენლებს უნდა მისცენ ხმა, რომელიც მათ დიდი ხანია ნაცადი ყავთ და რომლის წარმომადგენლები, ხალხის მიერ არჩეულნი, ყოველთვის ღირსეულათ ასრულებდენ ამომრჩეველთა მიერ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, მაშ, ნუ დაკარგავთ ნურც ერთ ხმას, და არჩევნებში მონაწილეობის მიღებით, კვლავ ღირსეულ კაცების არჩევით, ერთხელ კიდევ საქვეყნოთ გამოხატეთ, ვისკენ არის თქვენი სიმპატია და ვინ გეჯავრებათ, ვის უარყოფთ თქვენ; კვლავ დაანახეთ ყველას, რომ თქვენს გულში კვლავ ღვივის თავისუფლების სიყვარულის ცეცხლი.


დღევანდელ ნომერთან ერთად ურიგდება ხელის მომწერთ

**პ. ს. დოროჟნოვის**

მაღაზიის **სეზონის ფურცელი** 1907 წლისა

ვთხოვთ მკითხველებს, გაზეთის გამყიდველთ მოსთხოვონ ეს ფურცელი


## რედაქციისაგან

ჩვენი გაზეთის უკანასკნელ ნომრებში მოთავსებულია წერილები ფ. მახარაძისა და ბ. ვ. გუნიასი, ფ. მახარაძე სამედიატორო სამართალში იწვევს ბ. ვ. გუნიას „ნიშადურის“ მე-6 ნომერში მოთავსებული ლექსის გამო. ამ ლექსში გატარებული აზრის შესახებ ჩვენ რედაქციას მზათ ქონდა პასუხი, რომელიც დაიბეჭდებოდა „ჩვენ გზა“-ში დამოუკიდებლათ იმისა, თუ როგორც მოიქცეოდა ფ. მახარაძე. მით უმეტეს, რომ ხარბინის ფულების საქმეში ფ. მახარაძე მოქმედებდა არა დამოუკიდებლათ და თავის ნებისათ, არამედ თანახმათ იმ წრისა, რომელსაც გადაეცა ეს ფული დანიშნულებისამებრ მოსახმარათ, მაგრამ რაკი ფ. მახარაძემ მიმართა სამედიატორო სამართალს, ჩვენ პასუხი გადავდეთ იმ დროისთვის, როცა მედიატორეთა მსჯავრი გამოქვეყნდებოდა და დავსტამბეთ ბ. ვ. გუნიას პასუხიც. ჩვენგან დამოუკიდებულ მიზეზის გამო ბ. ვ. გუნიას წერილი წაუკითხავი დაიბეჭდა. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ბ. გუნია საპასუხო წერილში აღნიშნავდა მხოლოდ თანხმობას თუ უთანხმოებას ფ. მახარაძის წინადადებაზე. ნამდვილათ კი წერილში დამატებით, მხოლოდ სხვა სიტყვებით, გამეორებულია იგივე, რაც იყო ნათქვამი „ნიშადურში“, რასაც, რა თქმა უნდა, ადგილი არ ექნებოდა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, თუ რომ ბ-ნი ვ. გუნიას წერილი წაკითხულიყო.

## კანონ-პროექტი სამუშაო დღის შემოკლების შესახებ

ამას წინათ (იხ. „ჩვ. გზის № 14 „პოლიტ. მიმ.“) ჩვენ აღვნიშნეთ, რომ რუსეთის მრეწველები ეს ერთი ხანია დაჟინებით უწუნებენ მთავრობას კანონ-პროექტს მუშათა დაზღვევის შესახებ, უწუნებენ ვითომ იმ მოსაზრებით, რომ ეს პროექტი არ არის საკმაოთ ფართო და რადიკალური. ახლა უნდა აღვნიშნოთ, რომ იგივე მრეწველები უწუნებენ მთავრობას მეორე კანონ-პროექტსაც— აგრეთვე მუშათა კანონმდებლობის სფერიდან, სახელდობრ, პროექტს სამუშაო დღის შემოკლების შესახებ. ამ პროექტს მრეწველები იწუნებენ სულ წინააღმდეგი მოსაზრებით,—იმ მოსაზრებით, რომ იგი რადიკალურია. რაშია მდგომარეობს პროექტის რადიკალობა? იმაში, რომ ის მოზრდილ მუშათათვის სამუშაო დღეს ამოკლებს 11 ნახევარ საათიდან 10 ნახევარ საათამდე. თუ რამდენათ რადიკალურია ასეთი პროექტი, ეს განსაკუთრებით ნათლათ შეუძლიათ წარმოიდგინონ იმ მუშებმა, რომლებმაც კარგახანია მოიპოვეს არა თუ 10 ნახევარ საათის, არამედ 9 და 8 საათის სამუშაო დღე.

ახლა ერთი ვიკითხოთ: თუ კი ბევრგან ფაქტიურათ ასეთი მოკლე სამუშაო დღე არსებობს, რათ ეწინააღმდეგებიან კაპიტალისტები ასე ჯიუტათ 10 ნახევარ საათის სამუშაო დღის დაკანონებას? მოგეხსენებათ, მუშებმა სამუშაო დღის ასეთი შემოკლება **მოიპოვეს თავიანთი მედგარი ბრძოლით ხაზეინებთან**, მათ იგი პირდაპირ ხაზეინებს გამოგლიჯეს ხელიდან, და არ მისცემიათ იგი კანონმდებლობის წესით. მაგრამ აი დრონი იცვალენ: მუშებისათვის ხაზეინებთან პირდაპირი ბრძოლის პირობები მეტის-მეტათ გაძნელდა რეაქციის გამო. ხაზეინებს საღერღელი აეშალათ უკან დაიბრუნონ ყველაფერი, რაც კი მათ მუშებმა გამოსტაცეს ხელიდან რევოლიუციონური გზით, და ყოველ შემთხვევაში მათ დღევანდელ პირობებში იმის სურვილი მაინც ოდნავაც არ აქვთ, რომ კანონმდებლობის წესით დადგენილ იქნას მოკლე სამუშაო დღე, თუნდაც არა ნაკლებ 10 ნახევარ საათისა. მაგრამ, მეორე მხრით, მუშათა მღელვარება შრომის აუტანელ პირობების გამო არ ისპობა და ეს დარღვევას უქადის იმ საზოგადოებრივ მყუდროებას, რომლის მეოხებითაც ძლივს სული მოითქვა ბიუროკრატიამ. ეჭვი არ არის, რომ მუშათ მღელვარება თავდაპირველათ და უმთავრესათ ხაზეინების წინააღმდეგ არის მიმართული, მაგრამ იგი ადვილათ მიიღებს მრისხანე მიმართულებას ბიუროკრატიის წინააღმდეგაც, რადგან ამ უკანასკნელს დიდი ბრალი უდევს მუშათა ბრძოლის პირობების გაძნელებაში. ბიუროკრატიამ კარგათ იცის, რომ მისთვის პროლეტარიატის ამოძრავება ყველაზე უფრო სახიფათოა, ამ ამოძრავებას შეუძლია ერთი დაკვრით ბოლო მოუღოს მის სანეტარო „მყუდროებას“. აი ამიტომ ბიუროკრატია ცდილობს, რითაც და როგორც კი შეუძლია, პროლეტარიატის გული მოიგოს; აი ამიტომ იგი ასე „ერთგულათ“ ზრუნავს პროლეტარიატის ინტერესებზე—მის სასარგებლოთ სხვა და სხვაგვარ პროექტების გამოცხობით და მათი დაკანონების ცდით. მაგრამ რადგან „ღმერთი ერთს ისე ვერ აცხონებს, თუ მეორე არ წაწყმიდა“, რადგან ბიუროკრატიაც მუშათა კლასს ისე ვერ აამებს, თუ მის ანტიპოდს— კაპიტალისტთა კლასს არ აწყენინა, ამიტომაც კაპიტალისტები მტრულათ შეხვდენ მთავრობის პროექტს სამუშაო დღის შემოკლების შესახებ. მათ ასტეხეს ყაყანი—ბიუროკრატია მრეწველობას დაღუპვას უპირებს, რადგან სამუშაო დღის შემოკლება მეტის-მეტათ დასცემს მის (მრეწველობის) შემოსავალსო. თუ რამდენათ საბუთიანი ეს უკანასკნელი აზრი, ამაზე აქ სიტყვას ვერ გავაგრძელებთ. აქ ჩვენთვის უფრო საყურადღებოა მრეწველების მეორე მოსაზრება სამუშაო დღის შემოკლების წინააღმდეგ. „ათ ნახევარ საათის ნორმათ შემოღებაო, აცხადებენ კაპიტალისტები, **ვერ დაამშვიდებს მუშებს** და ვერ შეასუსტებს მათ ბრძოლას სამუშაო დღის კიდევ უფრო შემოკლებისთვისაო“. ახირებული ლოღიკაა: რადგან სამუშაო დღის ერთი საათით შემოკლება მუშებს ვერ დაამშვიდებს და ისინი სამუშაო დღის შესამოკლებლათ კვლავ ბრძოლას გაནაგრძობენ, ამიტომ სამუშაო დღე სულაც არ უნდა იქნას შემოკლებულიო. ნუ თუ კაპიტალისტებს გონიათ, რომ მუშები მაშინ უფრო „დამშვიდდებიან“, როდესაც მათ სამუშაო დღეს სულ არ შეუმოკლებენ? ან იქნებ მათი ინტერესი არ მოითხოვს, რომ მუშები „დამშვიდდენ?“ როგორ არ მოითხოვს, მაგრამ მათ ალბათ შეუგნიათ, რომ მუშები საბოლოოთ მანამ არ დამშვიდდებიან, სანამ მთლათ თავს არ გაითავისუფლებენ კაპიტალიზმის ბრჭყალებისაგან. ამაში კაპიტალისტები, რასაკვირველია, არა სცდებიან, ეს მათ კარგი რამ შეუგნიათ, მაგრამ მათ, სამწუხაროთ, ის კი შეუგნებელი დარჩენიათ, რომ სხვადასხვა დათმობებით მათ შეუძლიათ, კაპიტალიზმის მთლათ მოსპობამდინაც, ცოტათ თუ ბევრათ მაინც „დაამშვიდონ“ მუშები, შეამსუბუქონ მათი გამწვავებული მღელვარება. ეს ხომ თვით კაპიტალისტებისათვისვე უკეთესია?! შეიძლება რუსეთის მრეწველებს ესეც ცოტათ თუ ბევრათ შეგნებული ქონდეთ, მაგრამ სულ სხვა გარემოება აჯიუტებდეთ მათ ამ შემთხვევაში. საქმე იმაშია, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბიუროკრატია კანონ-

პროექტებს მუშათა სასარგებლოთ ადგენს უმთავრესათ **თავის თავის დასაცველათ** მუშათა მოძრაობისაგან, და, თუმცა იგი, ბიუროკრატია, თავისი ოფიციოზის პირით გვარწმუნებს, რომ მის კანონ-პროექტს სამუშაო დღის შემოკლების შესახებ „არაფერი საერთო არ აქვს მუშათა დამშვიდებასთან“ და რომ მისი მიზანი მხოლოდ ისაა თავიდან ააშოროს მუშებს მათი ძალღონის მეტის-მეტი გაფლანგვაო, მაგრამ ამას აბა ვინ დაუჯერებს ბიუროკრატიას? არ უჯერებენ მას არც მრეწველები, ამათ მშვენივრათ ესმით, რომ ბიუროკრატია სამუშაო დღის შემოკლებით ცდილობს თავის სასარგებლოთ წომართოს მუშა ხალხა თავის სასარგებლოთ „დაამშვიდოს“ იგი; ხოლო რამდენათაც მუშების დამშვიდება საჭირო და სასარგებლოა კაპიტალისტებისათვის, იმდენათ შეიძლება მთავრობის კანონ-პროექტს მართლაც ბევრი „არაფერი ქონდეს საერთო“ მუშების დამშვიდებასთან. აი სწორეთ ეს გარემოებაა ის, რომ მთავრობის კანონ-პროექტს მიზნათ აქვს ბიუროკრატიის ინტერესების დაცვა და ნაკლებათ აქვს სახეში მრეწველობის ინტერესებზე ზრუნვა, აი სწორეთ ეს გარემოება ამხედრებს ბურჟუაზიას მთავრობის ხსენებულ კანონ-პროექტების წინააღმდეგ. ბურჟუაზიას ვეღარ მოუნელებია მის საკუთარ საქმეში გარეშე ძალის, ბიუროკრატიის არა-მკითხე ბატონ-პატრონობა და განგეობა-განკარგულებანი. მისთვის აუცილებლათ საჭირო გახდა თვითონვე გაუძღვეს თავის საქმეებს ვილაც აპეკუნების ნება-დაურთველათ; თვითონვე გააწესრიგოს ეს საქმეები თვის მიერვე შესაფერ კანონების გამოცემით. შეიძლება მაშინ ბურჟუაზია მუშათა ძალდატანებით იძულებული შეიქნეს გამოსცეს ბიუროკრატიის დღევანდელ პროექტებზე უფრო „რადიკალური“ კანონებიც კი, მაგრამ ბურჟუაზია თავისი ინტერესების შესახებ **თავის** რადიკალურ კანონებს უფრო შეურიგდება, ვინემ **სხვის** ზომიერ კანონებს.

აი უმთავრესათ რით აიხსნება, ჩვენი ფიქრით, ის მოვლენა, რომ რუსეთის მრეწველები დღეს სისტემატიურათ ეწინააღმდეგებიან ბიუროკრატიის კანონ-პროექტებს მუშათა შესახებ და უკუაგდებენ მათ ხან იმ მიზეზით, რომ პროექტი რადიკალურია, ხან კი იმ მიზეზით, რომ პროექტი რადიკალური არ არის. და ასე მუდამ „მიზეზ-მიზეზ დის მარილი აკლდება“ მანამ, ვიდრე ბიუროკრატია თავის ძალა-უფლებას ან მთლათ არ დაუთმობს, ან არ გაუზიარებს მაინც ბურჟუაზიას: ამას მბრძანებლურათ მოითხოვს ქვეყნის მთელი დღევანდელი ეკონომიური ვითარება.

# ახალი ამბები

**არჩევნების შესახებ სახელმწ. სათათბიროში.** როგორც მკითხველმა უკვე იციან, დღეს, 27 სექტემბერს, დილის 9 საათიდან, საღამოს 9 საათამდე მოხდება არჩევნები ამომრჩევლებისა („ვიბორშჩიკებისა“). მთელმა თფილისმა რუსთა კურიის ამრჩევლებს გარდა უნდა აირჩიოს 8 ამომ რჩეველი. არჩევნები მოხდება სამს სხვა და სხვა ალაგას, რადგანაც თფილისი სამ საარჩევნო განყოფილებათ არის დანაწილებული. 1-ლ განყოფილების არჩევნები მოხდება ზუბალაშვილის სახალხო სახლში. აქ შეიკრიბებიან 1, 2 და 10 საპოლიციო უბნის ამომრჩევლები; 2-რე განყოფილების—ქალაქის საბჭოს დარბაზში. აქ შეიკრიბებიან 3, 4, 5 და 9 საპოლიციო უბნების ამომრჩევლები; 3-მე განყოფილებისა ავლაბარში, ვარშამოვის თეატრში. აქ შეიკრიბებიან 6, 7 და 8 საპოლიციო უბნის ამომრჩევლები.

1-ლ საარჩევნო განყოფილებაში აირჩევენ ორ ამომრჩეველს „ვიბორშჩიკს“, 2-რე განყოფილებაში სამს. 3-მე განყოფილებაში სამს. მაშასადამე, მთელი თფილისის სამი განყოფილება გარდა რუსის კურიის ამრჩევლებსა აირჩევს სულ რვა ამრჩეველს.

როგორც გადმოგვცეს სოც.-დემოკრატებს შემდეგი კანდიდატები წამოუყენებიათ ამრჩევლებათ. პირველ საარჩევნო განყოფილებაში: **გელეიშვილი** პეტრე პავლეს ძე, მოქალაქე, და **ჩხეიძე** ნიკოლოზ სიმონის ძე, მოქალაქე.

მეორე განყოფილებაში: **გოგუა** კალისტრატე გიგოს ძე, მოქალაქე, და **რამიშვილი** ნოე ბესარიონის ძე, მოქალაქე.

მესამე განყოფილებაში: **ნეიმან-ზადე** ივაიან ეფენდი მოქალაქე; **იაგუბიანც** ლევან ბალდასარის ძე მოქალაქე, და **რაზმაძე** ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მოქალაქე.

პირველ საარჩევნო განყოფილებაში, ზუბალაშვილის სახალხო სახლში მიიღებენ მონაწილეობას არჩევნებში 27 სექტემბერს, კრონჩის ქუჩაზე, ბორჩალოს მაზრის ამრჩევლებიც. მესამე განყოფილებაში, თფილისის მაზრის ამრჩევლები. ავლაბარში ვარშამოვის თეატრში.

◆ სია იმ პირებისა, რომლებიც ქალაქის გამგეობის დადგენილებით დღეს 27 სექტემბერს იქნებიან ოფიციალურ კომისიაში შემდეგ სამ საარჩევნო განყოფილებაში:

**პირველი განყოფილება:** პეტრე გელეიშვილი, დიმიტრი ლოლაძე, ივანე დურგლიშვილი, ვ. ნიკოლაძე, კონსტანტინე ჯაფარიძე, ნ. ცერცვაძე, გ. ბაქოვი, მ. დოლუხანოვი, მ. ზუბალაშვილი, მ. ქანანოვი, მელიქ ბეგლაროვი, ვლად. ჩიხლაძე, გ. ქურდიანი, ვ. კომენენოვ, კ. კარპოვიჩი, კლენცკი, როგოისკი, პაპიკვა, ნესტორ გამცემლიძე, ვარლ. წივწივაძე, სიმონ ცხომელიძე, გერ. ლომჯარია, მიხ. ათაბეგოვი, და ალ. ევანგულოვი.

**მეორე განყოფილება:** დავით გაგლოევი, ლევ. მამულოვი, კალისტრატე გოგუა, კონდახჩევი, კოტე ხახანოვი, ვლ. ახვლედიანიშვილი, ნ. იასამანოვი, აკოფიანი, ახნაზაროვი, ვართანოვი, ღონისიანი, სულხანოვი, მირზოევი, სტ. ჭრელაშვილი, ა. ი. ხატისოვი, ი. ნ. არღუთანსკი, მ. ღულაძე.

**მესამე განყოფილება:** ექიმი იგიტიანცი, ნესტორ ნას. ძე, გრიგ. მურადოვი, გ. შაიოროვი, ნ. რაზმაძე, ივ. ხახუტოვი, მ. თოიძე.

პირველი განყოფილების საარჩევნო კომისიის ოფიციალურ თავმჯდომარეთ იქნება ექიმი გედევანოვი, მეორე განყოფილების—ვ. ნ. ჩერქეზოვი, მესამე განყოფილების—გ. ვ. თამამშევი.

◆ **ახალი პროფ. კავშირი.** 24 სექტემბერს მოხდა აზარიანცის, პავლენოვის და პეპლეს ქარხნების მუშათა დელეგატების კრება. კრებას მინდობილი ჰქონდა პროფ. კავშირისათვის წესდების პროექტის შედგენა. ამნაირი პროექტი კრების მიერ შედგენილ იქნა. კამათი გამოიწვია საწევრო თვიური გადასახადის ნორმის რაოდენობამ. ხანგრძლივი კამათის შემდეგ მიღებულ იქნა 2 ნახევარი პროცენტი; გადაწყდა აგრეთვე ერთდროულ შესატანათ მისთვის, ვინც რომ პირველათ კავშირში შედის 50 კაპ. ბოლოს კრებამ აირჩია კავშირის ხელმძღვანელი ბიურო, შემაერთებელი კომისია, სარედაქციო კომისია და სხვა ფუნქციონალური ორგანიზაციები. შემდეგ კრებაზე აირჩევენ წარმომადგენელს თფილ. პროფ კავშირების ცენტრალურ ბიუროშიაც; ამნაირათ, ეს კავშირიც დაუკავშირდება სხვა პროფ. კავშირებს.

◆ 25 სექტემბერს ბელინსკის ქუჩაზე 1-ლ საპოლიციო უბანში შუადღის 4 საათზე ფირსაგოვის დუქანში აღგილობრივმა პოლიციამ დააპატიმრა 15—20 კაცამდე. თურმე ამ უკანასკნელთ ამავე დღეს დაუმარხავთ მათივე პროფესიის დურგალი მუშა. შემდეგ ერთათ წამოსულან და შესულან დუქანში პურის საჭმელათ გარდაცვალებულის სულის მოსახსენებლათ, როგორც ეს ჯერ კიდევ ჩვეულებათ აქვთ. ეს რომ პოლიციის ზედამხედველს დაუნახავს, მიტინგი ჰგონებია. ყველა სადილიდან აუყენებია და პოლიციაში ჩაუმწყვდევია.

◆ **ნამესტნიკის გამგზავრება** გუშინ, 26 სექტემბერს კავკასიის ნამესტნიკი გრაფ ვორონცოვ დაშკოვი დილის 9 საათის მატარებლით გაემგზავრა განჯის გუბერნიაში.

◆ **სამღვდელოების გადაწყვეტილება.** როგორც გადმოგვცეს, სამღვდელოებას გადაუწყვეტია 31,000 მან. გადასდოს მცხეთის საკრებულო ტაძრის დასამთავრებლათ.

◆ **თფილ. გუბ. გუბ. განკარგულებანი.** თფილ. მცხოვრებს ნიკ. ჟურავლევს, ახალქალაქის მცხოვრებ ალექ. ეჩიკოვს და ზაქათალის ოლქის მცხოვრებ არმენ გეორგიანცს, როგორც მავნე პირთ საზოგადოებისათვის, აეკრძალათ ცხოვრება თფილისის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე.—სახლის პატრონები თფილისში გუნიბის ქუჩაზე № 16 მიხ. ოქროპირიძე, ვერის დაღმართზე № 5 ოსიფოვი და მარტირნის ვიწრო ქუჩაზე № 4 აგრაფ ცუბლინა სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დაჯარიმებულ იქნენ თითოა 25 მან.—თფ. მცხოვრებს არშ. ეირონოვს, როგორც მავნე პირს საზოგადოებისათვის, აეკრძალა ცხოვრება თფილისის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე.—სოფ. აბისის (გორის მაზრა) მამასახლისის თანაშემწეთ ნამყოფს ივ. კვენიკაძეს აეკრძალა თფილისის გუბერნიაში ცხოვრება სამხედრო წესების მოხსნამდე.—ხარკოვის გუბერნიის მცხოვრებ სამაილ დვოიანს, როგორც მავნე პირს საზოგადოებისათვის, აეკრძალა თფილისის გუბერნიაში ცხოვრება სამხედრო წესების მოხსნამდე.

◆ მომავალ შაბათს, 6 ოქტომბერს, გამოვა ყოველკვირეული იუმორისტული კარიკატურებიანი ჟურნალი „ეკალი“. მასალები უნდა იგზავნებოდეს „სორაპნის“ სტამბის ადრესზე.

◆ 25 სექტემბერს ხერსონის გუბერნიის ქალ. ვოზნესენსკის მცხოვრები 74 წლის მარია ვოჟკოვა, როდესაც იგი მიდიოდა ფედოსიევის ქუჩაზე დაეცა და უცბათ გარდაიცვალა. ვოჟკოვა წაიყვანეს საანატომიო განყოფილებაში მიხაილოვის საავათმყოფოში.

◆ 25 სექტემბერს დილის 9 ს. სეროფ ტოკმანიანცის ფურნეში ელისაბედის ქუჩაზე № 218 შესულან ოთხი უცნობი ბოროტგამზრახველი და მუქარით კასიდან გაუტაცნიათ 30 მან. და მიმალულან.

◆ 25 სექტემბერს საღამოს 10 ს. ელისაბედის ქუჩაზე ელექტრონის ვაგონში № 165 შესულან სამი უცნობი შეზარხოშებულნი მათსა და კონდუქტორ შორის ატეხილა ჩხუბი, რომლის დროს გეორგობიანი და გაბედაშვილი პოლიციას შეუპყრია. კონდუქტორთან ჩხუბის დროს ეიდაცას მისთვის ამოუცლია. 15 მანეთიანი და წაუგლეჯია ხელიდან ბილეთების „კოლოდკა“, ელისაბედის ქუჩის კუთხეში პოლიციის ზედამხედველს შეუნიშნავს, რომ ერთს ბილეთების „კოლოდკა“ ვაგონ ქვეშ შეუგდია. პოლიციელი გამოჰკიდია მას და შეუპყრიათ. ის აღმოჩენილა ალექსი კობაძე, რომელსაც უარი უთქვამს დანაშაულობაზე.

# რუსეთის პრესა

**„სამშობლოს განახლება“ და „რეალური პოლიტიკა“.**

მთავრობის ორგანო „როსსია“ განრისხებით აღნიშნავს ოპოზიციის იმ ბრალდებას, რომ „განახლებული სამშობლო“, რომელზედაც ლაპარაკობს ოფიციოზი, არსებითათ არის მხოლოდ ძველი რეჟიმი“ და იმის დასამტკიცებლათ, თუ რამდენათ ყალბია ასეთი ბრალდება, მოყავს შემდეგი არგუმენტი: „გრ. ბობრინსკი ტულის

სიეზდზე ამტკიცებდა რომ რუსეთისათვის უსათუოთ საჭირო არის სახალხო წარმომადგენლობა. სიეზდის სხვა წევრები ამბობდენ, რომ „მესამე დუმის დანიშნულებაა გაფანტოს ის შეცდომა, ვითომ რევოლიუციას მოეტანოს ჩვენთვის სახალხო წარმომადგენლობა“. ეს ფაქტები მოწმობენ თუ არა ქვეყნის განახლებას? მემარჯვენეთა სიეზდის გამართვაც, რასაც ასე დასცინის ოპოზიცია, გვიჩვენებს, რომ სახალხო წარმომადგენლობის იდეა ღრმათ ჩანერგილია სწორეთ ზომიერების, სახელმწიფოებრივათ მოაზრე ადამიანთა ცნობიერებაში.

ხოლო, რაც შეეხება ოპოზიციას, (ე. ი. რევოლიუციონერებს და მათ დამქაშებს—კადეტებს) ესენი

„ერთნი შეგნებულათ, მეორენი შეუგნებლათ ესწრაფიან აზრი გაუტეხონ და ერთიანათ დაღუპონ სახალხო წარმომადგენლობა“.

„როსსია“ მეორე ნომერში (20 სექტემბრის) კიდევ უფრო ნათლათ გამოთქვამს თავისს აზრს: „ძველ რეჟიმშიაც“ იყო ბევრი რამ ისტორიულათ ძვირფასი და, რაც უფრო უმთავრესია, ეს ძვირფასი შეიძლება იყოს ისტორიულათ აუცილებელიც... რეალური პოლიტიკა, მაშასადამე, უნდა ესწრაფოდეს რათა ქვეყნის ორგანიულ განვითარებას გზა გაუკაფოს, მაგრამ ისე კი, რომ არ **შეაცვალოს, და მით უმეტეს არ შეირყეს საფუძველნი ისტორიულ წესწყობილებისა**“.

აი რას ეწოდება „სამშობლოს განახლება“ და ეს განახლება უკანასკნელი ლოღიკური დასკვნაც იმ „რეალურ პოლიტიკის“, რომლის პირველი აღმომჩენი ეკუთვნის—ნუ გაგვიწყრება ოფიციოზი—პეტრე სტრუვეს.

**სახელმწიფო დემაგოგია.**

მკითხველმა არ უნდა იფიქროს ვითომ მთავრობის გაზეთი ერთიანათ უარჰყოფდეს ლიბერალიზმს. არა, ის ეომება თურმე ამ უკანასკნელის მხოლოდ სიმახინჯეს. გაზეთი სწერს:

„სათქმელათაც კი უცნაურია, მარა მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ რუსკიპი ქალი მუდამ უფრო მეტ ყურადღებასა და თანაგრძნობას იქცევდა ხოლმე ლიბერალისას, ვიდრე პატიოსანი და მშრომელი ქალი... ლოთებით და საზოგადოთ გარიყულებით გატაცებამ შეჰქმნა თავისი საკუთარი ღამის თავშესაფართა მეფანტურე—„პრესლოვუტი“ (ყბათ ასაღები) მაქსიმ გორკი, რომელმაც ჩვენი მოწინავე მკითხველის სიყვარული ჭუჭყისადმი გარდაქმნა მწერლის ჯიბეში მოჩხრიალე ოქროებით. ციხის მდგმური განა ის ნაზი ყვავილი არ არის, რომელსაც განუწყვეტლივ უვლის ლიბერალის ხელი? მაგრამ რაღაც ძალიან ცოტას ლაპარაკობენ მუშებისათვის სამაგალითო ბინებზე, ღარიბ და მშრომელ ხალხის იაფ-ფასიან სადგომებზე“...

როდესაც მთავრობა ასეთი ენით ალაპარაკდება, ეს უტყუარი ნიშანია იმისი, რომ ხალხის მასა უკვე ძლიერათ ჩარეულა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

# პარტიების ცხოვრებიდან

**რ. ს.-დ. მ. პარტიის ცენტ. კომიტეტის რეზოლიუცია**, რომელიც ეხება პლეხანოვს „ტავარიშ“-ში დაბეჭდილ წერილისათვის, შემდეგია: „ვიღებთ რა მხედველობაში, რომ პლეხანოვი თავის წერილში („უსაფუძვლო შიში“) მოიწონებს ბურჟუაზიულ გაზეთის ფურცლებზე პარტიის წევრებს არ დაემორჩილონ პარტიულ გადაწყვეტილებებს, ილაშქრებს პარტიის კომპეტენტურ დაწესებულებათა წინააღმდეგ საარჩევნო ბრძოლის დროს, როდესაც პარტიულ გამოსვლის ერთობა უფრო საჭიროა, ვინემ როდისმე და, როდესაც პოლიციის რეპრესიები პარტიას საშვალებას უსპობს თავი დაიცვას ლეგალურ პრესაში,—ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ ამხანაგ პლეხანოვის ასეთ საქციელს დეზორგანიზაცია შეაქვს ერთიან პარტიის რაზმებში.

„**ბუნდის**“ აზრის გამომხატველი ორგანო არჩევს პლეხანოვის წერილს და, სხვათა შორის, ამბობს: „ძნელია დავეთანხმოთ ამხ. პლეხანოვს გადაჭრილ განცხადებას „სულისა“ და „ასოს“ შესახებ. პლეხანოვის შეხედულება, რომ განსაზღვრულ პოლიტიკურ გამოსვლის დროს უნდა ვხელმძღვანელობდეთ არა „ამა თუ იმ პარტიულ დოკუმენტის“ დირექტივებით, არამედ „საერთაშორისო პროლეტარიატის ტრადიციებით“—ასეთი შეხედულება სრულიად უარყოფს ყოველგვარ ორგანიზაციულ გამოსვლას პარტიისას, როგორც ასეთისას, უარყოფს ყოველგვარ პარტიულ დისციპლინას. მაგრამ ერთი რამ კი უნდა ვაღიაროთ. პრაქტიკული მოსაზრება, ფხიზელი ანგარიში ყოველთვის უნდა აკავებდეს პარტიის ხელმძღვანელებს, ესენი შესაძლებლათ არ უნდა ხდიდენ, რომ დისციპლინის ბუნებრივი გრძნობა აუტანელი რამ გახდეს. და განსაკუთრებით დიდი სიფრთხილეა საჭირო სოციალდემოკრატიის ხელმძღვანელთა მხრივ, რომელსაც არასოდეს სენათ არ ქონია გადაჭარბებული დისციპლინა და თუ ცენტრ. კომ. ბოლომდე გაიტანებს თავის ჯიქურ პოლიტიკას და საჭიროთ ცნობს ყოველი გამოსავალი დაუხუროს პარტიის უმცირესობას, ასეთ შემთხვევაში ძნელია იმედი ვიქონიოთ, რომ პარტიული დირექტივები ერთსულოვნურათ იქნება გატარებული.

**რ. ს.-დ. მ. პ. ცენტ. კომ. თხოვს** ყველა პარტიულ ორგანიზაციებს ცნობები მიაწოდონ დუმის არჩევნების მსვლელობის შესახებ სხვა და სხვა კურიაში. ცენტ. კომ. განზრახვა აქვს გამოარკვიოს—მუშათა კურიაში: სახელდობრ რომელ სამრეწველო დაწესებულებებში გავიდა ბოიკოტი, რამდენი მუშები იღებდენ მონაწილეობას არჩევნებში (ციფრები აბსოლიუტურიც და პროცენტებითაც), რამდენი ხმა მიიღეს სხვა და სხვა პარტიების კანდიდატებმა. ქალაქის კურიაში: რომელი პარტიები და როგორი „გრუპიროვკით“ გამოდიოდენ ან აპირებენ გამოსვლას; ხმების რაოდენობა, რომელიც მიიღო თითოეულმა პარტიამ და სოც.-დემ. კერძოთ. თუ სოციალდემოკრატები არ გამოსულან არჩევნებში, რატომ არ გამოვიდენ.

**რ. ს.-დ. მ. პ-ის ცენტრ. ორგანოს** ხასიათი უკვე გამოირკვა. სახელმძღვანელო ხელმოუწერელ წერილებში გამოხატავენ პარტიის ოფიციალურ აზრს. ამას გარდა, რედაქციის დანარჩენი წევრები მოათავსებენ წერილებს, რომლებიც არ ეთანხმება პარტიის ოფიციალურ აზრს, ასეთი წერილები დაიბეჭდება ავტორების ხელის მოწერით და პასუხისმგებლობით. განზრახულია აგრეთვე სადისკუსიო ფურცელი ორგანოში. რედაქციაში შედის 2 ბოლშევიკი, 2 მენშევიკი და თითო წარმომადგენელი ნაციონალურ ორგანიზაციებიდან. რედაქციის წევრთაგან ც. კ. დანიშნავს კომისიას სამი კაცისაგან—1 ბოლშევიკს, 1 მენშევიკს და ერთსაც ნაციონ. ორგანიზაციებიდან თითოეულ ნომრის შინაარსი და თანამშრომელთა მიღება დამოკიდებულია სარედაქციო კოლეგიისაგან

— „**რუსის ხალხის კავშირი**“ ამზადებს დეპუტაციას მეფესთან გასაგზავნათ. თავის შუამდგომლობაში „კავშირი“ იხსენიებს რაღაც „მნიშვნელოვან“ ნაბიჯებს მომავალში. დეპუტაციისათვის მეტი სიმძიმის მისაცემათ „მოკავშირეებს“ მასში შეჰყვათ ცნობილი შავრაზმელი დეკანოზი „სასწაულმომქმედი“ იოანე კრონშტადტელი, რომელმაც ამაზე თანხმობა განაცხადა „რუსის ხალხის კავშირმა“ პეტერბურგში გადასწყვიტა: 1) იშუამდგომლონ, რომ პეტერბურგის საარჩევნო უბნები გაყოფილ იქნას ნახევარ უბნებათ, რომლებშიაც „ჭეშმარიტ რუსებს“ შეეძლებოდეთ თავიანთი კანდიდატების გაყვანა; 2) ჩაშალონ ხოლმე პროგრესიულ არჩევნების წინასწარ საარჩევნო კრებები, რისთვისაც ყოველ ასეთ კრებაზე გაიგზავნოს ხოლმე „რუს ხალხის კავშირის წევრი“, რომელიც წარმოსთქვამს „აშკარა რევოლიუციონურ სიტყვას“ და ამით გამოიწვევს კრების დახურვას ადმინისტრაციის მხრივ; 3) შემუსროს პოლიციასთან ერთათ არეულობა, რომელიც შეიძლება მოხდეს განსაკუთრებით მუშათა რაიონებში; 4) ღალატის შიშით მომავალში აღარავინ იქნას „კავშირის“ წევრათ მიღებული, გარდა იმ პირებისა, რომლებიც სახელმწიფო სამსახურში არიან.

**მემარცხენეთა ბლოკი.** „რეჩ“-ის გადმოცემით, პეტერბურგში სოც.-დემ. თანხმდებიან შევიდენ მემარცხენეთა ბლოკში იმ პირობით, თუ მათ ქალაქის მეორე კურიაში სამი ადგილიდან 2 დაეთმობათ. სახალხო სოციალისტებს, როგორც ისმის, ეს პირობა მისაღებათ უცვნია და იმედი აქვთ, რომ ნაროდნიკული ბლოკი დათანხმდება მესამე ადგილი სახ. სო.-ებს დაუთმოს.

# საარჩევნო კამპანია.

ვოლოგდაში არჩევნებისათვის მოსულ მღვდლებს რკინის გზის სადგურზე და ქალაქის ყველა კუთხეებში უხვდებოდენ ვიღაცები და ერეკებოდენ დეკანოზ იაკუბოვთან, რომელმაც შემდეგ ყველა მღვდლები ეპისკოპოზთან წაიყვანა. ეპისკოპოზი ემუდარებოდა მღვდლებს ღვთის გულისათვის „წითლებს“ ნუ აირჩევთ, არამედ აირჩიეთ მეფისა და სამშობლოს ერთგულნიო. მუდარამ გასჭრა და მღვდლებმა ოცივე რწმუნებული მემარჯვენეთაგან აირჩიეს. არჩევნების შემდეგ მღვდლები ისევ ეპისკოპოზთან წაიყვანეს და ეს უკანასკნელი კვლავ შეევედრა შემდეგ არჩევნებშიაც სულ ჭეშმარიტი რუსები აირჩიეთო.

— დ. გოროდიშჩეში გლეხებმა შარშანდელი რწმუნებულები აირჩიეს, სულ წერაკითხვის მცოდნე, შეგნებული გლეხები. „ზომიერ“ უფიცილ მამასახლისის კანდიდატურა არ მიიღეს. როცა გლეხებს ეკითხებოდენ, ვინ უნდა გაგზავნოთო, ისინი უპასუხებდენ—რასაკვირველია ისევ შარშანდელები. მესამეჯერ გზავნით მათ და შეიძლება მეოთხეჯერაც ისევ ისინი გავგზავნოთო.

— პოკროვსკის ვოლოსტის გლეხთა არჩევნები გუბერნატორმა გააუქმა. ხელმეორეთ დანიშნულ არჩევნებზე გლეხებმა აღარ მოისურვეს მისვლა.

ენისეისკის გუბერნიის (ციმბირშია) ყველა მაზრებში თითო-ოროდას გარდა, არჩეულ იქნენ რწმუნებულებათ ისევ ისინი, ვინც პირველ და მეორე დუმის არჩევნებზე იყო არჩეული. უიღბლოს მემარცხენეთა გამარჯვება თითქმის უზრუნველყოფილია.

— ქ. ვლადივოსტოკში ქალაქის კურიაში აურჩევიათ 4 ვიბორშჩიკი—ყველანი სოც.-

დემოკრატებია, ხოლო ხაბაროვსკში—სოც.-დემ—ების მომხრენი.

— სამარის გუბერნიაში 6 ამორჩეულ მღვდელში 4 პროგრესისტია და 2 ზომიერი.

— **კიშინიოვში** ქრისტიანებს ქალაქის ვიბორშჩიკების კანდიდატებათ წამოუყენებიათ 1 კადეტი და 3 უპარტიო, ებრაელებს—1 კადეტი და 2 უპარტიო.

— **ეკატერინბურგში** გუბერნატორმა საარჩევნო კრების გამართვის ნება მისცა მარტო „მოკავშირეებს" და ნოქრებს, კადეტებს-კი არ მისცეს ამის ნება.

— კრემენჩუგში მეორე კურიის ამომრჩევლები ასახელებენ საერთო კანდიდატს ებრაელს, რომელსაც პროგრესისტი ქრისტიანები ნებაყოფლობით უთმობენ თავის ადგილს, სამაგიეროთ ვილნოში პოლონელებმა ადგილი არ დაუთმეს ებრაელ კანდიდატს.

— ბერდიანსკის, მელიტოპოლის და სიმფეროპოლის ზოგიერთ ვოლოსტებში ბოიკოტი ჩუმათ წარმოებს; ერთ ვოლოსტში-კი არჩევნებზე მოწვეულ ყრილობამ დაადგინა: რადგან პირველი და მეორე დუმა დათხოვნილ იქნა, ხოლო გლეხების ყოფა-მდგომარეობა-კი ისევ ისე დარჩა და მას გაუმჯობესება არ ეშველა, ამიტომ არჩევნებს ბოიკოტი გამოეცხადოსო.

მოსკოვის ადმინისტრაციამ განკარგულება მოახდინა, რომ **წინასწარ-საარჩევნო კრებებზე** დაშვებულ არ იქნას ამრჩევლებს გარდა არა მარტო გარეშენი, არამედ კრების წარმომადგენლნიც-კი.

— ცარიცინის მაზრის წვრილ მემამულეთაგან არჩეული რწმუნებულები ყოველან უპარტიო პროგრესისტები და ზომიერები; რეპორტიორსაც ასე უცნობებია გაზეთებისათვის, მაგრამ ადგილობრივ პოლიცმეისტერს, რომელიც იქ გაზეთებს აცენზურებს, წაუშლია „უპარტიო პროგრესისტები" და ამის მაგივრათ დაუწერია „მონარქისტები".

— სიმფეროპოლის მაზრაში გლეხებმა აირჩიეს მეორე დუმის ყოფილი დეპუტატი ტიუტიუნოვი, რომელიც მიტინგის გამართვისათვის არხანგ. გუბერნიაშია გადასახლებული. მამასახლისი მთელი ოთხი საათი ეჩიჩინებოდა ყრილობას და ათასგვარ სასჯელს ემუქრებოდა, მაგრამ გლეხები შეურყევლათ იდგენ თავის გადაწყვეტილებაზე და ერთხმათ აირჩიეს ყოფილი დეპუტატი, რომელიც, მათი აზრით, უდანაშაულოთ დაისაჯა გლეხების ინტერესებისათვის.

— კადეტების-მიერ ხელმეორეთ განზრახულ კრებას გრადონაჩალნიკმა კვლავ ნება არ დართო.

— მემარცხენეთა ბლოკი მოსკოვში არ შედგება, რადგან იქ ამ ჟამათ არ არის ნაროდნიკთა ორგანიზაციები. სოც.-დემ—ები და მოუკიდებლათ გამოდიან არჩევნებზე და ცდილობენ მეორე კურიაში თავისი კანდიდატი გაიყვანონ.

— ვიატკის გუბერნიის მუხინის ვოლოსტში არჩევნებზე მივიდა სულ 120 გლეხი; მათ შორის 20 შეგნებული ბოიკოტისტი. ეს უკანასკნელები დანარჩენ გლეხებსაც ურჩევდენ—უარი თქვით არჩევნებზე და ეს უარი იმით დაასაბუთეთ, რომ პომეშჩიკების დუმაში დეპუტატების გაგზავნა იმას ნიშნავს, რომ გამოეთხოვოთ საუკეთესო შეგნებულ ამხანაგებს. არჩევნები მაინც მოხდა და არჩეულ იქნა ორი მემარჯვენე.—ს. კოსაში გლეხებმა ორი კაცი აირჩიეს, ორივე პროგრესისტი. ბოიკოტისტური განწყობილება ძლიერი იყო, მაგრამ მხოლოდ რეპრესიების შიშით დაესწრნენ არჩევნებს გლეხები.

— იაროსლავის გუბერნიაში გუბერნატორმა ჩამოიარა თვისი „საბრძანებელი" და ყველგან „რჩევები" წარმოსთქვა ადმინისტრაციისა, პოლიციისა და ქალაქების წარმომადგენელთა წინაშე. ის თავგამოდებით ურჩევდა ამ „მოქალაქეთ და ამომრჩევლეთ" ეცხოველესი მონაწილეობა მიიღეთ არჩევნებშიო, ჭეშმარიტი რუსები გაგზავნეთ მესამე დუმაშიო, რადგან მხოლოდ ამათ შეუძლიათ რუსეთი დაღუპვისაგან დაიხსნანო. **ამასთან გუბერნატორი** კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა ორივე გარეკილ დუმას.

— იარაღოვის გუბერნიის მუშათა რწმუნებულებათ გავიდენ მემარცხნეები. არჩევნების დროს ბრძოლა გაიმართა „მოკავშირეთა" და მემარცხნეთა შორის. მოკავშირენი ყველანი გაშავდენ.

— მოსკოვში კადეტებს გამოურკვევიათ, რომ იქ ქალაქის პირველ კურიაში მათი შანსები ძალიან სუსტია; ოქტომბრისტების გამარჯვება თითქმის უზრუნველ-ყოფილია.

— მოსკოვის გუბერნიაშიაც ოქტომბრისტებს დიდი შანსები აქვთ გამარჯვების.

— ვიატკის გუბ. სლუდსკის ვოლოსტში გლეხების არჩევნები, რომელიც ორი შავრაზმელის არჩევით დასრულებულა, ასეთ პირობებში მომხდარა. არჩევნების დანიშვნა სცოდნიათ მარტო შავრაზმელ გლეხებს და დანარჩენები კი მხოლოდ მათი კრების დანახვის გამო მისულან არჩევნებზე. შუადღისას შავრაზმელებს ზარის რეკით ეკლესიიდან ხატები და ბაირაღები წამოუღიათ ვოლოსტის გამგეობაში, გადაუხდიათ პარაკლისი, წარმოუთქვამთ „რჩევა", მღვდელს პურიშკევიჩისებურათ უდაპარაკნია. ქალამნიან გლეხების პატარა ჯგუფს ერთ მხარეზე უდგას მღვდელი, მეორეზე მწერალი და მამასახლისი, მესამე მხარეზე ურიადნიკი და სტრაჟნიკები.| გლეხებს შიშის ქარები გადგომიათ ქარჩებში, სულ დავიწყნიათ არჩევნების თავისუფლება და მხოლოდ მეოთხე მხარეს ეძებდენ მოსაქუსლავათ, მაგრამ ვერ პოულობდენ. როგორც კი ჩააგდებდენ კენჭს—მარჯვნივ თუ მარცხნივ—ამას არ დაგიდევდენ, თღონ კი ჩავედოთ—ხელათ მოქუსლავდენ.

## ბათუმის ქრონიკა

—ოზურგეთიდან ჩამოსულებმა დანამდვილებით გვიამბეს, რომ ამ დღეებში გურიაში მოუკლავთ ეს. ბაზარჟიანცი, რომელიც ამას წინათ ბათუმში დააპატიმრეს და ოზურგეთში წაიყვანეს მაზრის უფროს ერმოლოვთან. ბაზარჟიანცი მაზრის უფროსს ერმოლოვთან გაუგზავნიათ მცველების თანხლებით. მცველებს ის გზაზე მოუკლავთ და გლეხების დახმარებით კიდეც დაუსაფლავებიათ იქვე. მკვლელები ამბობენ: ბაზარჟიანცმა გაქცევა დააპირა და ამიტომ მოვკალითო. ამ საქმის შესახებ კავკასიის ნამესტნიკის სახელობაზე დეპეშაა გაგზავნილი, რითაც თხოვენ მას, მოკლულის გვამის ბათუმში გადატანის ნებართვას და მკვლელობის შესახებ გამოძიების დანიშვნასაც.

— კვირას, 23 სექტემბერს, გურიიდან ბათუმში ჩამოიყვანეს და გემით რუსეთისაკენ გაგზავნეს 50-ზე მეტი სამსახურიდან გაიქცეული სალდათი (დეზერტირი). მთავრობის მოთხოვნით, ეს სალდათები თითონვე გამოცხადდენ მაზრის სამმართველოში.

— ქ. ბათუმის მცხოვრებლების ერთმა ნაწილმა, რომელთაც „ჭაობის" მიდამოებში სახაზინო მიწებით სარგებლობაზე მთავრობიდან ნებართვა აქვთ აღებული, 19 ამ თვეს, ბათუმის ოლქის უფროსის ნებართვით დეპუტაცია აირჩიეს თავიანთ შორის და გაუგზავნეს კავკასიის ნამესტნიკს. დეპუტაციაში შედის სამი პირი, რომელთაც დაევალათ იშუამდგომლონ ნამესტნიკის წინაშე, რათა ნება მიეცეს მცხოვრებლებს ხსენებულ ადგილებზე შენობების აგების და ამ ადგილების შესყიდვის უფლებაც.

— ბათუმს ესტუმრა იტალიელი საოპერო დასი. ყოველ დღე წარმოდგენები იმართება. ოპერას აუარებელი ხალხი ესწრება.

## პროვინცია

**ქ. ფოთი.** 23 სექტემბერს აქ დაასაფლავეთ ადგილობრივი მცხოვრები, ხე-ტყის ქარხნის მუშა, გრიგოლ ესტატეს ძე მასხულია. განსვენებული 20 წლისა იყო, უსწავლელი, მაგრამ მიუხედავათ ამისა ენერგიულ მოღვაწეობას ეწეოდა განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რისთვისაც მიუსაჯეს სამი თვის ციხე. კუბოს ამკობდა რამოდენიმე გვირგვინი: ფოთის ციხის ტუსაღებისაგან, ხეტყის ქარხნის მომუშავე ამხანაგებისაგან, კერძოთ დიდიას ქარხნის მუშებისაგან, ადგილობრივი ახალგაზდებისაგან, მარგანეცის მუშებისაგან და პორტის მუშებისაგან. ეს პირველი არის ფოთში მუშის ასეთი დიდებული დასაფლავება.

კაფე.

—

**აკეთის საზ.** (გურია). ჩვენი საზოგადოება განსაცდელის მოლოდინშია. მოსავალი ნაკლებია. გამუდმებულმა წვიმებმა, რომელიც ეს ერთი თვე ნახევარია გრძელდება, გვალვების დროს გაჭირვებით დათესილი ჭინახული არ დაამწიფა!.. სხვა წლებთან შედარებით, ღვინო თითქმის მესამედი მოვიდა და ისიც ცუდი. ეს ასეა არა მარტო ჩვენში, არამედ მთელ გურიაში; და თუ გავიხსენებთ, რომ შარშან მოსავალი არც ისე ცუდი იყო, და სიმინდი მაინც ექვს აბაზამდე ავიდა, ადვილათ წარმოვიდგენთ რა მოელის ამ მხრით როგორც ჩვენ საზოგადოებას, ისე მთელ გურიას.

იმდენი მოთხოვნილება სკოლებზე, როგორიც წელს ჩვენში არსებობს, არასოდეს არ ყოფილა. ჩვენი საზოგადოების 6 სოფელში არსებობს ერთი ორ კლასიანი სამინისტრო სკოლა და სამიც პირველდაწყებითი,—სამ სოფელში, მაგრამ წელს ესენი საკმარისი არ დარჩა. სწავლა უკვე დაწყებულია და სამი სოფლიდან 120-მდე ბავშვი უადგილობის გამო ჯერ კიდევ მიუღებელია. ამნაირათ აუცილებელი საჭირო ხდება სკოლის მიმატება. ს. ვანი უკვე შეუდგა საქმეს. დარჩა ს. ჰანჭათი და ზომლეთი, რომელთაც მოლაპარაკება აქვთ ერთმანეთში და იმედია ისინიც ჩქარა მოაწყობენ სკოლის საქმეს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უკვე არსებული სამინისტრო სკოლის შენობა ძალიან ცუდ მდგომარეობაშია! სახურავი სულ წამხდარი აქვს და წვიმა ყველა ოთახებში ჩამოდის, რის გამო იატაკი დალპა და ბუხრებიც ლამის დაინგრეს, ფანჯრებიც სანახევროთ დალეწილია. თუ ეს ასე დარჩა, სწავლის გაგრძობა ყოვლად შეუძლებელი დარჩება.

ჩვენ ვურჩევთ საზოგადოებას ეხლავე შეუდგენ შენობის შეკეთებას, თორემ ახლის გაკეთება უფრო ძვირი დაჯდება.

— ერთ დროს მშვენიერი ბიბლიოთეკისაგან დღეს მხოლოდ ოთხი კედელი—ღა დარჩა: წიგნები ზოგი სოფლებში დაიკარგა და ზოგიც „მშვიდობიანობის დამცველებმა" დაიტაცეს. რაც დარჩა, ისიც უპატრონოთ ყრია მუხლამდე მტვერში. ნეტა როდის იქნება ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენი ბიბლიოთეკა ფეხზე წამოდგეს!

პარნასი

—

**ქიზიყი.** ზოგიერთ გულუბრყვილო ქიზიყელს, რომელსაც ჯერ ცხვირიც არ გაუყვია ქიზიყს გარეშე, ძალიან აინტერესებდა ყაზახების ნახვა, მეტადრე მას შემდეგ, რაც მათი „საქმენი საგმირონი" გაზეთებში იწერებოდა. მათი გულუბრყვილო ნატვრა ასრულდა. აგვისტოს შუა რიცხვებში ქიზიყს ეწვია ერთი ასეული ყაზახი. მოსვლისათანავე ჩამოუარეს სოფლებს და დაანახვეს თავიანთი „სანატრელი" სახე. დაინტერებული კაცი თუ ქალი, დიდი თუ პატარა განცვიფრებულნი აცქერდებოდენ და გულუბრყვილოთ ამბობდენ: „ეგენიც კაცები ყოფილანო". ჩვენებური ხულიგანები ახლა სამოთხეში გრძნობენ თავს. წარმოიდგინეთ, აგიტატორობასაც არ თაკილობენ. შეკრებილ ხალხში ხშირათ დაინახავთ მედიდურათ, ხმა-მაღლა მოლაპარაკეს: აბა ახლა დედა გეტირებათ, აი როგორი ერთობა გინდათო.

მას შემდეგ, რაც „ერთობა" შემოიპრა ჩვენში, ქიზიყელებმა ხელი მაგრა ჩაჰკიდეს ჯიბეებს. თუ არა ძალით, ნებით არაფერს აძლევენ „ბატონ-პატრონებს". დაწყებული 1905 წლიდან დღემდე ან სულ არა, ან მცირე ნაწილი აქვთ გადახდილი სახელმწიფო ხარჯისა, მიუხედავათ იმისა, რომ „პრიკაზი პრიკაზზე" მოდის.

ქიზიყელები უმთავრესათ ხვნა-თესვას მისდევენ. გაზეთებიდან გაიგებდით, რომ არამც თუ გასაყიდი, საყოფი პურიც კი არ მოსულა, მეტადრე წლეულს, ვისაც ორმოცი-სამოცი ურემი სულადი მოსდიოდა, ურემიც ვერ მოაქუჩა. მომეტებულ ნაწილს ორი თვის სარჩოც არ მოსვლია. სწორეთ ამის ბრალია, რომ ჯერ ეხლავე ფუთი პური ორი მანეთათ ფასობს, მხოლოდ მომავალში, რაღა თქმა უნდა, აიწევს. შიმშილობის მოლოდინით შეშინებული ქიზიყელნი პურის სასყიდლათ მიდიან ზაქათალის მხრივ, განჯაში, გარეთ კახეთში, მაგრამ ამათ, ვეღარც იქა შოულობენ.

გარდა ხვნა-თესვისა ქიზიყელები მისდევენ მევენახეობას, თამბაქოს კეთებას, საქონლის მოშენებას. გვალვისაგან შეწუხებულმა ვენახებმა ნაკლები მოსავალი მოგვცა; თამბაქოს კეთებას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორიოდე მწარმოებელს, თითქმის თავი დაანებეს კრიზისის გამო; მხოლოდ ბალახი იმდენი ვერ მოთიბეს, რომ საქონელი გამოკვებონ ზამთარში. ამის გამო თითქმის ნახევარ ფასში იყიდება საქონელი. მაშ რაღა დარჩენია ქიზიყელს, რომ თავი გადირჩინოს შიმშილისაგან? მხოლოდ საკუთარი მარჯვენა, უნდა ვისმე მიექირავოს ორიოდე გროშის ასაღებათ, რათა ცოლშვილი შიმშილით არ ამოუწყდეს, მაგრამ სამუშაოსაც ვეღარსად შოულობს, ვერც ქალაქში და ვერც სოფლათ. აი ამისთანა უკიდურეს მდგომარეობაშია დღეს ქიზიყი. ერთი მხრივ ასეთი გაჭირვება, მეორე მხრივ „პრიკაზი" „ფოშტის" ფული შემოიტანეთ ხაზინაშიო. გლეხები ნებით ვერაფერს მისცემენ, საჭიროა ძალა. აი სწორეთ ამისთვის მოგვევლინენ ეს ახალი სტუმრები.

ქურდობა, ღამით თავდასხმა და გაძარცვა, უსახელო წერილებით თუ აშკარათ ფულის მოთხოვნა ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა. ამის ძოსაპობლათ თითქმის ყველა სოფლებში ყარაულები დააყენეს. მაგრამ თავხედი ექსპროპრიატორების წინააღმდეგ ყარაული ვერაფერი წამალია. ამისთვის შეძლებული გლეხები, რომელნიც უმთავრესათ ხულიგანობდენ ეხლა გაფაციცებულნი ცდილობენ პარტიაში ჩაეწერონ, თითქოს პარტიის წევრობა იხსნიდეს ექსპროპრიატორთაგან, მეორე მხრივ, ქურდ-ბაცაცებიც ცდილობენ „პარტიაში" შესვლას, რადგანაც ამით სასჯელს აიცდენენ ჰგონიათ ამგვარი განწყობილებით სარგებლობენ ადგილობრივი ფედერალისტები და რომ პარტია გაადიდონ „დავთარში", სწერენ ყველას, ვინც კი მოისურვებს „პარტიონობას". ახლათ გამოჩენილ ქართველ „მეცნიერ" პ. აკობიას ქმნილებათა სამი ტომი: „ხალხის მტერია სოციალდემოკრატია", „სოციალდემოკრატიამ მოატყუა გლეხები" და „ბნელეთით რევოლიუცთაგვ-ეშმაკთ ევოლიუცია" ფუთობით მოუზიდნ-ფედერალისტებს. ალბათ ცდილობენ ამ „სამეცნიერო" წიგნებით ქიზიყის განათლებას ქიზიყელი „შკოლნიკები" დაარბენინებენ სოფლებში პ. აკობიას თხუზულებებს, ეხვეწებიან, ემუდარებიან გლეხებს: „რა არის კაცო ერთი წიგნი იყიდე ვითომ დუქანში ერთი რუმკა არაყი დაგილევნიაო", მაგრამ აქაც ბედმა უმუხთლად, პ. აკობიას სამ საპიკიანი წიგნებს გლეხები არა ყიდულობენ.

